წერილის ნომერი: **51-1624094144**
თარიღი: **03/04/2024**

ადრესატი: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსს

ბატონ ზურაბ წიქვაძეს

თქვენი 2024 წლის 01 აპრილის N6/18319 (შემოს: 04-162409318-51) წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი ს/კ 64.34.01.281 მიწის ნაკვეთის 46414 კვ.მ ნაწილი და დაურეგისტრირებელი ტერიტორიის 1257 კვ.მ მიწის ნაკვეთი მოქცეულია „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრულ მე-11 გეგმარებით არეალში, ხოლო ნაწილი სცდება აღნიშნულ არეალს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 1-ლი მარტის N 1-1/13 ბრძანებით დამტკიცებულია მე-11 გეგმარებითი არეალის განაშენიანების დეტალური გეგმა (გდგ).

სააგენტო არ არის წინააღმდეგი მიწის ნაკვეთის პრივატიზება მოხდეს ზემოაღნიშნული მე-11 არეალის კონტურში, ხოლო აღნიშნული ტერიტორიის ინფრასტრუქტურული განვითარება საჭიროა შეთანხმდეს როგორც სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან ისე სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთან.

პატივისცემით,

ეკატერინე ორჯონიკიძე

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“-
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი